სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
11.05.11 № 40
თბილისი
სტუ-ს დეკანების უფლებამოსილების
შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 6 მაისის №445 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 10 მაისის №12 სხდომის №1 გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2011 წლის 11 მაისიდან, უფლებამოსილების ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით, ქვემოთ ჩამოთვლილი ფაკულტეტების დეკანები: ზურაბ გედენიძე (სამშენებლო ფაკულტეტი), გია არაბიძე (ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი), ანზორ აბშილავა (სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი), ნუგზარ წერეთელი (ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი), ოთარ გელაშვილი (სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი), გოჩა მიქიაშვილი (არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი), რუსუდან ქუთათელაძე (ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი), ხოლო 2011 წლის 18 მაისიდან ზურაბ წვერაიძე (ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი) გათავისუფლდნენ დეკანების – ადმინისტრაციული თანამდებობებიდან;
2. დეკანების არჩევნები ჩატარდეს თანდართული გრაფიკის მიხედვით (იხ. დანართი);
3. ფაკულტეტის საბჭომ იმსჯელოს და შეარჩიოს არჩევნების დამთავრებამდე დეკანის ფუნქციების შემსრულებლის კანდიდატურა;
4. ფაკულტეტის საბჭომ შეიმუშავოს დეკანის ფუნქციების შემსრულებლის შერჩევის რეგლამენტი;
5. არჩევნები ჩატარდეს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სტუ-ს წესდების და "მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ"სტუ-ს დებულების შესაბამისად.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
7. ბრძანება განთავსდეს სტუ-ს ვებგვერდზე.

რექტორი ა.ფრანგიშვილი

ვიზები:
რექტორის მოადგილე სასწავლო
დარგში ლ. კლიმიაშვილი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ქ.ქოქრაშვილი

ადამიანური რესურსების მართვის
დეპარტამენტის უფროსი ხ. ჩხიკვიშვილი

იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანების არჩევნების გრაფიკი

<table>
<tr><th>№</th><th>პროცედურის
დასახელება
ფაკულტეტი დასახელება</th><th>არჩევნების გამოცხადება</th><th>რეგისტრაციის ვადები</th><th>არჩევნების ჩატარება</th></tr>
<tr><td>1</td><td>სამშენებლო ფაკულტეტი</td><td rowspan="7">11.05.2011</td><td rowspan="8">8.08.2011 – 29.08.2011</td><td rowspan="8">28.09.2011</td></tr>
<tr><td>2</td><td>ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი</td></tr>
<tr><td>3</td><td>სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი</td></tr>
<tr><td>4</td><td>ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი</td></tr>
<tr><td>5</td><td>სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი</td></tr>
<tr><td>6</td><td>არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი</td></tr>
<tr><td>7</td><td>ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი</td></tr>
<tr><td>8</td><td>ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი</td><td>18.05.2011</td></tr>
</table>